Rural Development Agency

Digitally signed by Rural Development Agency
Date: 2021.02.11 13:51:00 +04'00'

Telco Systems LLC

Digitally signed by Telco Systems LLC
Date: 2021.02.11 02:56:39 -08'00'

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01/41

ქ. თბილისი 11 თებერვალი 2021 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ სოფლის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში “შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორის პირველი მოადგილის გიორგი ფანცულაიას სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „ტელკო სისტემს“ (შემდგომში “მიმწოდებელი”), წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ ქსელური მოწყობილობების (შემდგომში „საქონელი“) შესყიდვა 1.1.1 ქვეპუნქტში მითითებული რაოდენობებისა და მახასიათებლების შესაბამისად.

1.1.1

N	დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთ. ფასი	ჯამური ფასი
1	ქსელის კაბელი UTP cat 5E 4PR (0,50mm) CCA PVC 305m=1 бхт	5	96.60	483.00
2	კედელზე სამაგრი ბუდე ორიანი Keystone jacks for 2 port RJ45 UTP cat 5473 (Outlet)	20	7.60	152.00
3	კედელზე სამაგრი ბუდე ერთიანი Keystone jacks for 1 port RJ45 UTP cat 5481 (Outlet)	30	5.20	156.00
				791.00

1.2 კლასიფიკატორის კოდი CPV- 32421000; 32424000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 791.00 (შვიდას ოთხმოცდათერთმეტი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. საქონლის ხარისხი და საგარანტიო პირობები

3.1 მისაწოდებელი საქონლის ხარისხი და რაოდენობა შეთანხმებულია მხარეების უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის და განხორციელდება შეთანხმებული ხარისხისა და ოდენობის საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას N8.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი გამოუწერს და გადასცემს შემსყიდველს შესაბამის ფინანსურ დოკუმენტაციას (დღგ-ს ანგარიშფაქტურა ან/და ელექტრონულ სასაქონლო ზედნადები ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის მიღებაზე თუ იგი:

ა) უხარისხოა, არ შეესაბამება მხარეთა წინასწარ შეთანხმებულ ხარისხა და ოდენობას;

ბ) არ არის ნივთობრივად ან უფლებრივად უნაკლო;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.4 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო"-ს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო და ტრანსპორტი სამსახურის სპეციალისტი მერაბ სიჭინავა ან/და ამავე სამსახურის წამყვანი სპეციალისტი გიორგი ხუციშვილი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.1.3 წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების დროს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ;

7.1..4 მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

7.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3.2 მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ხარისხიანი საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ადგილსა და ვადაში.

7.4.2 აღმოფხვრას ნაკლოვანება შემსყიდველის მიერ შესაბამისი შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში.

7.4.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდევლი ორგანიზაცია.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.
8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხელშეკრულების 5.4 პუნქტში მითითებული პირები.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 ,ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობისთვის, არაჯეროვნად ან/და ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
9.2 ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
9.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისთვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.
9.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მოთხოვნებს, ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების მიხედვით ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.7 დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების მხარეების მიერ უნდა მოხდეს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
9.8 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს არ აქვს გადახდილი დაკისრებული პირგასამტეხლო სრულად, შემსყიდველი არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებას.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა, ემბარგოს დაწესება, ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობა, არაჯეროვნად ან/და ნაწილობრივ შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 მარტის ჩათვლით.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

12.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობის, არაჯეროვნად ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობით, არაჯეროვნად ან ნაწილობრივ შესრულებით.

13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისთვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 %-ს;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.6 ამ მუხლის 13.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.5 ყველა ის საკითხი, რომელიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
16.7 შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მისი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ „ სოფლის განვითარების სააგენტო“ ს/კ 404923785 მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6 მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი - TRESGE22 მიმღების ანგარიში - GE24NB0330100200165022	შპს „ტელკო სისტემს“ ს/კ: 205203279 მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ., №221, კორპ. 1ა, ბ. 33 ს/ს “თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE75TB4021536020100006
დირექტორის პირველი მოადგილე ---------- /გ. ფანცულაია/	**დირექტორი** ---------- /ი. გულიაშვილი/

RDA
404923785
RURAL DEVELOPMENT AGENCY